

შპს „ბლექსი სტოუნ“


ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი გორაბერეჟოული

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გორაბერეჟოულის მიმდებარე  
ტერიტორიაზე ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმოს  
მოწყობა-ექსპლოატაციის სკრინინგის

ანგარიში

შპს „ბლექსი სტოუნ“-ის

დირექტორი: რომან ვარშალომიძე



ჩოხატაური-2021 წ.

შინაარსი

შესავალი -----	გვ. 3
1. ძირითადი ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებლისა და დაგეგმილი საქმიანობის ტექნიკური მახასიათებლების შესახებ _____	გვ.4
2. საწარმოს განთავსების ადგილმდებარეობა და საწარმოს საქმიანობის ზოგადი აღწერა _____	გვ.5
3. საწარმოს ტექნოლოგიური პროცესის აღწერა და ინფრასტრუქტურის ელემენტები _____	გვ.6
4. საწარმოს ნედლეულით მომარაგება _____	გვ.7
5. საწარმოს წყალმომარაგება, კანალიზაცია და ჩამდინარე წყლების არინება _____	გვ.7
6. საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში გარემოზე შესაძლო ზემოქმედება _____	გვ.8
7. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე _____	გვ.8
8. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი მახასიათებელი სიდიდეები) _____	გვ.9
9. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევების რაოდენობის ანგარიში _____	გვ.10
10. ხმაურის გავრცელება და ზემოქმედება _____	გვ.14
11. ნიადაგის, გრუნტის, მიწისქვეშა და ზედაპირული წყლების დაბინძურება _____	გვ.15
12. საშიში გეოლოგიური მოვლენების განვითარების რისკი _____	გვ.15
13. ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე _____	გვ.15
14. ნარჩენების წარმოქმნის და მართვის შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედება, ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები _____	გვ.16
15. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე _____	გვ.16
16. კუმულაციური ზემოქმედება _____	გვ.17
17. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება _____	გვ.17
18. დანართი -----	გვ.18

## შესავალი

წარმოდგენილი სკრინინგის ანგარიში ეხება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გორაბერეჟოლის მიმდებარე ტერიტორიაზე შპს „ბლექსი სტოუნ“-ის (ს/კ445592724) ქვიშა-ხრემის სამსხვრევი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტს.

საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიის შპს „ბლექსი სტოუნ“-ის მიერ დაგეგმილი საქმიანობა გულისხმობს სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებას (ქვა-ღორღის დამტვრევა).

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“-ს, II დანართის, მე-5 პუნქტის, 5.1 ქვეპუნქტის თანახმად, სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრემის) გადამუშავება ამავე კოდექსის მეშვიდე მუხლის შესაბამისად ექვემდებარება სკრინინგის პროცედურის გავლას, გზშ-ს ჩატარების საჭიროების მიზნით. საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია საქმიანობის დაგეგმვის შემდგომადგვარად ადრეულ ეტაპზე სამინისტროს წარუდგინოს დაგეგმილი საქმიანობის სკრინინგის განცხადება და სამინისტროსგან მიიღოს გადაწყვეტილება ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს. საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სამინისტროსთვის წარდგენილი სკრინინგის განცხადება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა უნდა მოიცავდეს: მოკლე ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შესახებ, ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების, განხორციელების ადგილისა და შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ. სკრინინგის პროცედურის დასრულების შემდეგ თუ, სამინისტრო დაადგენს, რომ დაგეგმილი საქმიანობა არ ექვემდებარება გზშ-ს, განმცხადებელი ვალდებულია დაიცვას საქართველოში არსებული გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნები და გარემოსდაცვითი ნორმები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შემუშავებული იქნა შპს „ბლექსი სტოუნ“-ის ქვიშა-ხრემის სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის სკრინინგის ანგარიში.



1. ძირითადი ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებლისა და დაგეგმილი საქმიანობის ტექნიკური მახასიათებლების შესახებ.

ზოგადი ცნობები საწარმოს შესახებ მოცემულია ცხრილში N1

ცხრილი N1

ძირითადი ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებლის შესახებ	
საქმიანობის განმახორციელებელი	შპს „ბლექსი სტოუნ“
საინდეტიფიკაციო კოდი	(ს/კ445592724
კომპანიის იურიდიული მისამართი	ბათუმი, ფარნავაზ მეფის 105
საქმიანობის განხორციელების ადგილის ფაქტიური მისამართი, საკადასტრო კოდი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელი გორაბერეჟოული
საქმიანობის სახე	სასარგებლო წიაღისეულის, ქვიშა-ხრემს გადამუშავება
დირექტორი	რომან ვარშალომიძე
საკონტაქტო ტელეფონი	597717979
ელექტრონული ფოსტა	blackseastone2021@gmail.com
საკონსულტაციო ფირმა	ფ/პირი თეიმურაზ კონცელიძე
საკონტაქტო ტელეფონი	577252919
დაგეგმილი საქმიანობის ტექნიკური მახასიათებლები	
საქმიანობის განხორციელების სადგილი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი სოფელი გორაბერეჟოული
განთავსების ადგილის კოორდინატები	X-267547,21; Y-4655315,63
მანძილი ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე	390 მ.
საპროექტო წარმადობა	
გამომუშავებული პროდუქციის სახეობა	ინერტული მასალა (ქვიშა, ღორღი), სხვადასხვა ფრაქციების
საპროექტო წარმადობა	გადამუშავებული ბალასტი 40 მ <sup>3</sup> საათში
ნედლეულის სახეობა და ხარჯი	84000 მ <sup>3</sup> ბალასტის გადამუშავება წელიწადში
გადამუშავების მეთოდი	სველი მეთოდით
საწვავის სახეობა და ხარჯი (სატრანსპორტო საშუალებების მიერ გამოყენების გარდა)	არ მოიხმარს
სამუშაო დღეთა რაოდენობა წელიწადში	210 დღე
ტექნოლოგიური პროცესების ხანგრძლიობა დღე-ღამეში, სთ	10 საათი



**2. საწარმოს განთავსების ადგილმდებარეობა და საწარმოს საქმიანობის ზოგადი აღწერა.**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გორაბერეჟოულის მიმდებარე ტერიტორიაზე შპს „ბლექსი სტოუნ“-ის (ს/კ445592724) დაგეგმილი აქვს ქვიშა-ხრემის სამსხვრევი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაცია.

ქვიშა-ხრემის სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმოს მოწყობა გათვალისწინებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კუთვნილ ტერიტორიაზე, GPS კოორდინატია: X-267541,13; Y-4655313,25 (დანართი სურ. 4) სადაც 2016 წლის 12 დეკემბერს N1960/ს ბრძანების საფუძველზე სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ შპს „ედრი ჰოლდინგი“-ს (ს/კოდი 405047113) გასცა 5-წლიანი ლიცენზია N1004154, წელიწადში ჯამურად 90900 მ<sup>3</sup> ბუნებრივი რესურსის (ქვიშა-ხრემი) მოპოვებაზე. ლიცენზიის მფლობელმა შპს „ედრი ჰოლდინგი“-მა ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ხსენებული ლიცენზია გაასხვისა შპს „გოვა“-ზე (ს/კ448398957), ხოლო ამ უკანასკნელმა თავის მხრივ 2021 წლის 3 ივლისს ასევე, ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ლიცენზია N1004154 გადაუფორმა შპს „ბლექსი სტოუნ“-ის, რომელიც ახორციელებს ბუნებრივი რესურსების (ქვიშა-ხრემი) მოპოვებას და ტერიტორიაზე დასაწყობებას შემდგომი გადამუშავების მიზნით. (ხელშეკრულებები თანდართულია)

ლიცენზირებული ტერიტორია, რომლის ფართობი 3,03 ჰა-ს ტოლია (GPS კოორდინატები:

N	X	Y	N	X	Y
1	267954	4655387	6	267635	4655448
2	267762	4655424	7	267723	4655481
3	267582	4655320	8	267801	4655501
4	267467	4655313	9	267893	4655476
5	267604	4655374	10	267969	4655406

განთავსებულია ბათუმი-ჩოხატაურის ავტომაგისტრალის 77-ე კილომეტრზე, ავტომაგისტრალის გასწვრივ, ავტომაგისტრალიდან 135 მეტრის დაშორებით, მდინარე სუფსის მიმდებარე არსებულ ქვიშა-ხრემის გამოვლინების ტერიტორიაზე, მდინარის კალაპოტიდან 60-65 მეტრის დაშორებით.

საპროექტო საწარმოს მოსაზღვრე ობიექტები და ტერიტორიები: სახელმწიფო და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები და თავისუფალი ტერიტორიები. უახლოესი მდინარეა სუფსა, რომელიც საწარმოს საზღვრიდან დაშორებულია 55-60 მ-ით. უახლოესი დასახლებული პუნქტი ფიქსირდება 300-350 მეტრში. უახლოესი საცხოვრებელი სახლი საწარმოდან განთავსებულია 373,5 მეტრში. (დანართი სურ. 2)

პროექტის მიხედვით სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმოს წარმადობა საათში შეადგენს 40 მ<sup>3</sup> -ს, მსხვრევის პროცესის ხანგრძლივობა დღე-ღამეში შეადგენს 10 სთ-ს, სამუშაო დღეთა რაოდენობა წელიწადში არის 210 დღე. სამუშაო საათების რაოდენობა 2100 სთ წელიწადში. ამ პარამეტრების



გათვალისწინებით საწარმო წელიწადში განახორციელებს 84000 მ<sup>3</sup> (142800 ტონა) ქვიშა-ხრემის დამსხვრევას.

გამოყენებული ნედლეულის ფრაქციული შემადგენლობის გათვალისწინებით მიღებული პროდუქციის რაოდენობა 95–98% იქნება. მიღებული პროდუქციის 70% (10, 20) ფრაქცია იქნება, დანარჩენი ფრაქცია (0-5). საწარმოში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა იქნება 6 კაცი, რომლებიც იმუშავენ ერთცვლიანი რეჟიმით, 10 სთ-იანი სამუშაო დღით. საპროექტო ტერიტორიაზე ასევე განთავსდება მუშა პერსონალისთვის ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების დროებითი (არასტაციონარული) 1 ბლოკ-კონტეინერის ტიპის შენობა.

### 3. საწარმოს ტექნოლოგიური პროცესის აღწერა და ინფრასტრუქტურის ელემენტები.

საპროექტო ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა არ არის გათვალისწინებული იმდენად, რამდენადაც საწარმოს განთავსება დაგეგმილის მდინარის ახლოს (კალაპოტიდან 55–60 მეტრში) ქვიშა-ხრემოვან ტერიტორიაზე. (დანართი სურ. 3) ლიცენზიით გამოყოფილ 3,03 ჰა ტერიტორიის ნაწილზე, რომლის ფართობი იქნება 2200მ<sup>2</sup>, რომელზედაც განთავსდება ქვა-ლორღის მსხვრევისა და დახარისხების აგრეგატები და სამრეწველო კვანძები, დანარჩენი ტერიტორია თავისუფალია, სადაც დღესდღეობით მიმდინარეობს კარიერში მოპოვებული ქვიშა-ხრემის განთავსება შემდგომი გადამუშავების მიზნით.

დანადგარების განთავსება არ საჭიროებს ხე-მცენარეების ჭრას. საწარმოს ტერიტორიაზე იმოქმედებს ქვიშა-ხრემის გადამამუშავებელი ერთი ხაზი. ქვიშა-ხრემის მსხვრევის პროცესი განხორციელდება სველი მეთოდით. საწარმოს ფუნქციონირებისათვის საჭირო ტექნოლოგიური და დამხმარე ინფრასტრუქტურის ელემენტები მოიცავს ქვის მსხვრევისა და დახარისხებისათვის გამოყენებულ შემდეგ დანადგარებს: ყბებიანი და როტორული მსხვრევანა, ლენტური ტრანსპორტიორი, კლასიფიკატორი, ვიბროსაცერი, დამახარისხებელი მბრუნავი ცხავი, ნედლეულისა და პროდუქციის ღია საწყობები. (დანართი სურ. 1)

გამომდინარე იქედან, რომ საწარმოს განთავსება დაგეგმილია ლიცენზირებულ კარიერის ტერიტორიაზე, ნედლეულის შემოზიდვა და ტერიტორიაზე აკუმულირება მიმდინარეობს ავტოთვიმცლელელებით საკარიერო გზის მეშვეობით, რომელიც არ არაა დაკავშირებული ცენტრალურ მაგისტრალთან და სოფლის შარაგზასთან. კარიერიდან შემოტანილი ნედლეულის დასაწყობება ხდება ნედლეულის ღია საწყობში, საიდანაც საწარმოს ექსპლოატაციაში გაშვების შემდეგ მოხდება მათი, მტვირთავის მეშვეობით მიმღებ ბუნკერში ჩაყრა. მიმღები ბუნკერიდან მასალა ტრანსპორტიორით მიეწოდება ვიბროსაცერს. აქვე მიეწოდება წყალი და ხდება რეცხვა. განარეცი მასა ღარის მეშვეობით ხვდება კლასიფიკატორში. აქედან ლენტური ტრანსპორტიორით გარეცხილი ქვიშა იყრება ბაქანზე. ვიბროცხავიდან გარეცხილი მასა ლენტური ტრანსპორტიორით (მსხვილი ზომის ნედლეული) მიეწოდება ყბებიან სამსხვრეველას, სამსხვრევიდან დამტვრეული ქვა (0-20 მმ ფრაქცია) ჩამოიყრება ტრანსპორტიორის ლენტაზე, რომლითაც მიეწოდება როტორულ სამსხვრეველას, საიდანაც დამსხვრეული მასა ტრანსპორტიორით გადადის მბრუნავ ვიბროცხავზე,



მზრუნავი ვიბროცხავი შედგება სამი სხვდასხვა ზომის ცხაურისაგან. პირველად დამაგრებულია 0-5 მმ-იანი ზომის ცხაური, შუაში 5-10 მმ-იანი და ბოლოს 10-20 მმ-იანი. დამსხვრეული ქვის საცერში გავლის დროს საცერი ბრუნავს დაბალი სიჩქარით, პირველი განყოფილებიდან გამოიყოფა 0-5 მმ ფრაქცია, მეორედან 5-10 მმ, მესამედან 10-20 მმ-იანი. ვიბროსაცერიდან ჩამოყრილი სამი ფრაქციის მზა პორდუქცია გადაიტანება პორდუქციის შესაბამის ღია საწობებში.

#### 4. საწარმოს ნედლეულით მომარაგება.

საწარმოში ნედლეულის შემოტანა და პროდუქციის გატანა განხორციელდება ავტოტრანსპორტით. გამომდინარე იქედან, რომ საწარმოს განთავსება დაგეგმილია საკარიერო ტერიტორიაზე საშუალოდ დღეში ხორციელდება 50-60 გადაზიდვა. ამასთან ერთად ავტოტრანსპორტის (ნედლეულის შემომტანი) გადადგილება არავითარ გავლენას არ მოახდენს ცენტრალური ავტომაგისტრალის სატრანსპორტო ნაკადზე. ხოლო რაც შეეხება მზა პროდუქციის ტრანსპორტირებას ის განხორციელდება ცენტრალური მაგისტრალის გავლით, მხოლოდ საფარველით აღჭურვილი ავტოტრანსპორტით.

როგორც აღინიშნა საწარმოს ტერიტორიაზე ქვიშა-ხრემის შემოზიდვა განხორციელდება მდ. სუფსის ნაპირას არსებული, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კუთვნილ ტერიტორიაზე არსებული შპს „ედრი ჰოლდინგი“-ს, (ს/კოდი 405047113), კარიერიდან, რომელსაც 2016 წლის 12 დეკემბერს N1960/ს ბრძანების საფუძველზე სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ გასცა 5-წლიანი ლიცენზია N1004154, წელიწადში ჯამურად 90900 მ<sup>3</sup> ბუნებრივი რესურსის (ქვიშა-ხრემი) მოპოვებაზე. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული მიმდინარე პერიოდისათვის ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად ზემოთხსენებული ლიცენზიის მფლობელი შპს „ბლექსი სტოუნი“-ა, რომელიც სალიცენზიო კარიერიდან ახორციელებს ქვიშა-ხრემის შემოტანას საწარმოს ტერიტორიაზე დასაწყობებას. დაგეგმილია ასევე (საჭიროების შემთხვევაში) გადასამუშავებელი მასალის-ბალასტის მდინარე სუფსის ქვიშა-ხრემის გამოვლინების სხვა ლიცენზირებული კომპანიებისაგან შესყიდვა და გადამუშავება.

#### 5. საწარმოს წყალმომარაგება, კანალიზაცია და ჩამდინარე წყლების არინება.

საპროექტო საწარმოს როგორც მოწყობის ისე ექსპლუატაციის ეტაპზე ესაჭიროება სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური წყლით მომარაგება. საწარმოო დანიშნულებით წყალაღება დაგეგმილია საპროექტო ტერიტორიის უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტიდან მდ. სუფსიდან. წყალაღების წერტილის GPS კოორდინატებია: X-267499,91; Y-4655362,49 სადაც მოეწყობა სატუმბი სადგური. საყოფაცხოვრებო დანიშნულების წყალი შემოიტანება გადასატანი რეზერვუარების საშუალებით, როგორც დასახლებული პუნქტის წყალსადენიდან, ასევე საცალო ვაჭრობის ქსელიდან. საწარმოში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა იქნება 6 კაცი, რომლებიც იმუშავენ დღეში ერთგვლიანი 10 სთ-იანი რეჟიმით. სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით მოხმარებული წყლის რაოდენობა დამოკიდებულია დასაქმებული პერსონალის და ერთ მომუშავეზე დახარჯული წყლის რაოდენობაზე. ერთ სულზე წყლის მაქსიმალური ხარჯი დღის განმავლობაში შეადგენს 45



ლ-ს. წელიწადში 210 სამუშაო დღის და ერთცვლიანი სამუშაო გრაფიკის გათვალისწინებით სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით გამოსაყენებელი წყლის საანგარიშო ხარჯი იქნება:  $6 \times 45 = 270$  ლ/დღეში, ანუ  $0,27 \text{ მ}^3$  /დღეში, რაც შეეხება წყლის წლიური მოხმარების რაოდენობას, ტოლი იქნება:  $0,27 \text{ მ}^3 \times 210 \text{ დღე} = 56,7 \text{ მ}^3$  /წელ. სულ ყველა მუშა-მოსამსახურეზე წლიურად სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით მოხმარებული წყლის რაოდენობა ტოლი იქნება:

$$56,7 \text{ მ}^3 \times 6 = 340,2 \text{ მ}^3.$$

საწარმოო მიზნით წყლის გამოყენება მოხდება ქვიშა-ხრემის სველი მეთოდით მსხვრევა-დახარისხებისათვის. დაგეგმილი წარმადობისა და ტექნოლოგიური რეჟიმის შესაბამისად, საწარმოსათვის ტექნიკური წყლის საჭირო საათური ხარჯი იქნება  $80 \text{ მ}^3/\text{სთ}$ , ანუ  $800 \text{ მ}^3/\text{დღ}$ , შესაბამისად, წელიწადში საჭირო წყლის რაოდენობა იქნება:  $210 \times 800 = 168000 \text{ მ}^3/\text{წელ}$ .

საწარმოს ოპერირებისას მოსალოდნელია სასმელ-სამეურნეო და საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნა. ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე არ არის საკანალიზაციო ქსელი, ამიტომ კომპანიის საყოფაცხოვრებო-სამეურნეო ჩამდინარე წყლების შეკრება მოხდება საასენიზაციო ორმოში, რომლის მომსახურებაც მოხდება ხელშეკრულების საფუძველზე. რაც შეეხება ტექნოლოგიური მიზნებით გამოყენებულ წყლებს, თანახმად საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N425 დადგენილებისა „საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისგან დაცვის ტექნიკური რეგლამენტი“-თ გათვალისწინებული მოთხოვნებისა ჩაშვებული წყლების გაწმენდის ეფექტიურობის გაზრდისათვის საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილია 2-საფეხურიანი (ეფექტურობა-80-85%) შემკრებ-სალექარის მოწყობა, რომლის სექციის (თითოეულის) ზომებია  $15 \times 6 \times 2$  (მოცულობა  $180 \text{ მ}^3$ ) საერთო მოცულობა იქნება  $360 \text{ მ}^3$ . ობიექტის ტექნიკური პარამეტრების თანახმად, სალექარში მიწოდებული ჩამდინარე წყლების გაწმენდის დრო 2 საათზე მეტია, რაც სავსებით საკმარისია. სალექარის გავლის შემდეგ ჩამდინარე წყალი გამყვანი კოლექტორით ჩაშვებული იქნება მდ. სუფსაში. (ჩაშვების წერტილის GPS კოორდინატია: X-267496,32; Y-4655357,32). საწარმოო ჩამდინარე წყლები დაბინძურებულია ძირითად შეწონილი ნაწილაკებით, რომლისგან გაწმენდა მოხდება ორსაფეხურიან სალექარში, რომელიც მოეწყობა საწარმოს ტერიტორიაზე. სალექარის საშუალებით მოხდება როგორც საწარმოო წყლის, ასევე ტერიტორიაზე მოგროვილი სანიაღვრე წყლების ჩადინება, დაყოვნება, გაწმენდა და „ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლების ტექნიკური რეგლამენტის“ მოთხოვნების შესაბამისად შემდგომ მისი მდინარეში ჩაშვება. საწარმოოდ მოხმარებული წყლის უმეტესი ნაწილი დაახლოებით 75% გადადის ჩამდინარე წყალში, რომლის ნაწილი პირდაპირ ჩადინება სალექარში და ნაწილი მზა პროდუქციის სანაყაროებიდან დაწრეტილი იგივე სალექარში. საწარმოს ექსპლუატაციის პერიოდში მოსალოდნელი წყალჩაშვება სამსხვევის ფუნქციონირებისას წლის განმავლობაში იქნება  $126000 \text{ მ}^3$ .

გაწმენდი ნაგებობის (სალექარის) პარამეტრები გათვლილი იქნება მაქსიმალურ წარმადობაზე, რომელიც იქნება  $395 \text{ მ}^3/\text{დღეში}$ . სალექარის გავლის შემდეგ გაწმენდილი ჩამდინარე წყლები ჩაშვებული იქნება მდ. სუფსაში.

## 6. საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში გარემოზე შესაძლო ზემოქმედება

გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედება შეიძლება გამოიხატოს: ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობის გაუარესებით, ხმაურის გავრცელებით, ნიადაგის ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების შესაძლო დაბინძურებით, ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედებით, ნარჩენების მართვის პროცესში მოსალოდნელი ზემოქმედებით და სხვა. რისკების შეფასების დროს გათვალისწინებული იქნა საპროექტო საწარმო ტერიტორიის განთავსება, უახლოესი საცხოვრებელი სახლის და სხვა სამრეწველო და ინფრასტრუქტურული ობიექტების მდებარეობა.

## 7. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე.

საწარმოს ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროს წარმოადგენს ქვიშა-ხრეში სამსხრევ-დამახარისხებელი დანადგარები. ქვიშა-ხრემის მსხრევის პროცესი იწარმოებს სველი მეთოდით. ამის გამო უმნიშვნელოა მტვრის წარმოქმნა, როგორც სამუშაო ადგილზე ასევე ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევა. ქვის მსხრევისა და დახარისხების პროცესში ატმოსფეროში გამოიყოფა არაორგანული მტვერი SiO<sub>2</sub>-ის 20%-მდე შემცველობით. მტვრის გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროდ შეიძლება ჩაითვალოს ყველა ტექნოლოგიური პროცესი და დანადგარი. სამშენებლო მასალების წარმოებისას არაორგანიზებული გაფრქვევის წყაროებიდან გაფრქვევის გაანგარიშების ნეთოდური მითითებების შესაბამისად 3%-ზე მეტი ტენიანობის მქონე ქვიშისა და 20%-ზე მეტი ტენიანობის მასალების სხვა შემთხვევაში გაფრქვევები უნდა ჩაითვალოს 0-ს ტოლად. ამის გათვალისწინებით გაფრქვევის გაანგარიშება არ მოხდება ვიბროცხავისა და კლასიფიკატორის მუშაობისას და ქვიშის ბაქანზე განთავსებისას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მტვრის გამოყოფის და გაფრქვევის წყაროებს წარმოადგენს:

- ნედლეულის განთავსება ღია საწყობზე
- გაფრქვევა ნედლეულის ღია საწყობიდან
- ნედლეულის ჩაყრა მკვებავ ბუნკერში
- მკვებავიდან ტრანსპორტიორზე ჩამოტვირთვა
- ყბებიანი მსხრევანა
- როტორული მსხრევანა
- ლენტური ტრანსპორტიორით გადადგილება
- მზრუნავი ვიბროცხავი
- გაფრქვევა მიღებული პროდუქციის ღია საწყობებიდან

## 8. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი

### მახასიათებელი სიდიდეები

საწარმოს საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გამოიყოფა ინერტული მასალის არაორგანული მტვერი ამ ნივთიერებების კოდი და ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები მოცემულია ცხრილში N 2.

ცხრილი 2. მოცემულია ამ ნივთიერების მახასიათებელი სიდიდე.



კოდი	მაწვე ნივთიერებათა დასახელება	ზღვრული დასაშვები კონცენტრაცია, მგ/მ		მაწვე ნივთიერებათა საშიშროების კლასი
		მაქსიმალური ერთჯერადი	სააშუალო,დღ/ღამ	
2908	ინერტული მასალის მტვერი	0,5	0,15	3

ტექნოლოგიური პროცესის შედეგად ატმოსფეროში მაწვე ნივთიერებათა გაფრქვევა ხდება 12 არაორგანიზებული წყაროდან:

1. ნედლეულის განთავსება ღია საწყობზე (გ-1 წყარო)
2. გაფრქვევა ნედლეულის ღია საწყობიდან (გ-2 წყარო)
3. ნედლეულის ჩაყრა მკვებავ ბუნკერში (გ-3 წყარო)
4. მკვებავიდან ტრანსპორტიორზე ჩამოტვირთვა (გ-4 წყარო)
5. ყბებიანი მსხვრეფანა (გ-5 წყარო)
6. როტორული მსხვეფანა(გ-6 წყარო)
7. ლენტური ტრანსპორტიორით გადადგილება(გ-7წყარო)
8. გაფრქვევა მიღებული პროდუქციის ღია საწყობებიდან (გ-8, გ-9, გ-10, გ-11, გ-12, წყარო)

**9. ატმოსფერულ ჰაერში მაწვე ნივთიერებების გაფრქვევების რაოდენობის ანგარიში.**

საწარმოს მიერ ატმოსფეროში გაფრქვეულ მაწვე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში მოხდა „დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის,დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო და აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება N435) მიხედვით“.

ა) ნედლეულის (ქვიშა-ხრემის) ღია საწყობზე ავტოთვითმცლელიდან ჩამოცლის დროს (გ-1 წყარო) გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{მტვრ}} = k_1 \times k_2 \times k_3 \times k_4 \times k_5 \times k_7 \times k_9 \times G \times B \times 10^6 \times 0,4/3600 \text{ გ/წმ}$$

სადაც:

K<sub>1</sub>- მასალაში მტვრის ფრაქციის წილია

K<sub>2</sub> - მტვრის მთლიანი მასიდან აეროზოლში გადასული მტვრის წილია;

K<sub>3</sub> -- მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი;



$K_4$ -გარეშე ზემოქმედებისგან საწყობის დაცვიოთუნარიანობის მახასიათებელი კოეფიციენტი;  
 $K_5$ -მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი;  
 $K_7$ - გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტი;  
 $K_9$ -შემასწორებელი კოეფიციენტი, ავტოთვითმცლელულებიდან 10 ტონამდე წონის მასალის ზალბური ჩამოცლისას აიღება 0,2 ; 10 ტ-ზე მეტის შემთხვევაში აიღება 0,1; სხვა შემთხვევაში იგი აიღება 1 -ს ტოლი.

$B$  -გადატვირთვის სიმაღლეზე დამოკიდებულების კოეფიციენტი;

$G$  - წარმადობა ტ/სთ-ში აღნიშნული კოეფიციენტებისა და სიდიდეების მნიშვნელობები აიღება მეთოდიკაში მოცემული დანართებიდან.

საანგარიშო კოეფიციენტების მნიშვნელობები შემდეგია:

$$K_1 - 0,05; K_2 - 0,03; K_3 - 1,2; K_4 - 1,0; K_5 - 0,01; K_7 - 0,4; K_9 - 0,1; B - 0,5; G - 68(\text{ტ/წ}),$$

აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ:

$$M_{\text{მტვრ}} = 0,05 \times 0,03 \times 1,2 \times 1,0 \times 0,01 \times 0,4 \times 0,1 \times 0,5 \times 68 \times 10^6 \times 0,4 / 3600 = 0.0027 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვრ}} = 0,0027 \times 2100 \times 3600 / 10^6 = 0.02 \text{ ტ/წელ}$$

**ბ) გაფრქვევა ნედლეულის (ქვიშა-ხრეში) ღია საწყობიდან (გ-2 წყარო )**

წარმოქმნილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{მტვრ}} = k_3 \times k_5 \times k_6 \times k_7 \times q \times f \text{ გ/წმ}$$

სადაც:  $K_3 = 1,2$  - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი;

$K_5 = 0,1$ -მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი;

$K_6 = 1,4$  - დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის პროფილის მაჩვენებელი კოეფიციენტი და მერყეობს 1,3-დან 1,6-მდე

$K_7 = 0,5$ -გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტი;

$q = 0,002$  - მტვრის წატაცების ინტენსივობაა 1კვ.მ ფაქტიური ზედაპირის ფართობიდან გ/მ<sup>2</sup> წმ

$f = 250 \text{ მ}^2$  -ამტვერების ზედაპირის ფართობი

ამ მონაცემების მიხედვით გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იქნება :

$$M_{\text{მტვრ}} = 1,2 \times 0,1 \times 1,4 \times 0,5 \times 0,002 \times 250 \times 0,4 = 0.0168 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვრ}} = 0,0168 \times 8760 \times 3600 / 10^6 = 0.5298 \text{ ტ/წელ}$$

**გ) ნედლეულის მკვებავ ბუნკერში ჩაყრის დროს (გ-3 წყარო) გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:**

$$M_{\text{მტვრ}} = k_1 \times k_2 \times k_3 \times k_4 \times k_5 \times k_7 \times k_9 \times G \times B \times 10^6 \times 0.4 / 3600 \text{ გ/წმ}$$

ამ შემთხვევაში კოეფიციენტების მნიშვნელობები შეადგენს:

$$K_1 - 0,05; K_2 - 0,03; K_3 - 1,2; K_4 - 0,1; K_5 - 0,01; K_7 - 0,4; K_9 - 0,2; B - 0,5; G - 68$$

აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით გაფრქვეული მტვრის წლიური და წამური ინტესივობა იქნება:

$$M_{\text{ტვრ}} = 0,05 \times 0,03 \times 1,2 \times 0,1 \times 0,01 \times 0,4 \times 0,2 \times 0,5 \times 68 \times 10^6 \times 0,4 / 3600 = 0,0005 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{ტვრ}} = 0,0005 \times 2100 \times 3600 / 10^6 = 0,0038 \text{ ტ/წელ}$$

დ) გაფრქვევის ანგარიში მკვებავიდან ტრანსპორტიორზე ჩამოტვირთვის დროს (გ-4 წყარო)

ამ შემთხვევაში კოეფიციენტების მნიშვნელობები შეადგენს:

$$K_1 - 0,05; K_2 - 0,03; K_3 - 1,0; K_4 - 0,2; K_5 - 0,01; K_7 - 0,4; K_9 - 1; B - 0,4; G - 68$$

აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით გაფრქვეული მტვრის წლიური და წამური ინტესივობა იქნება:

$$M_{\text{ატვრ}} = 0,05 \times 0,03 \times 1,0 \times 0,2 \times 0,1 \times 0,4 \times 1 \times 0,4 \times 68 \times 10^6 \times 0,4 / 3600 = 0,0363 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{ატვრ}} = 0,0363 \times 2100 \times 3600 / 10^6 = 0,2744 \text{ ტ/წელ}$$

ე) გაფრქვევა ყბებიანი სამსხვრევიდან (გ-5 წყარო)

გაფრქვევის გაანგარიშება ხორციელდება ფორმულით:

$$G_{\text{მტვრ}} = G_{\text{მას.}} \times X \times N \times t \times k / 10^3$$

სადაც

$G_{\text{მას.}}$  - არის გადასამუშავებელი მასალის რაოდენობა რომელიც ტოლია 142800 ტ/წელ.

მტვრის გამოყოფის ხვედრითი მაჩვენებელი 1ტ სველი მასალის მსხვრევისას შეადგენს 0,009კგ/ტ. წელიწადში საწარმოს სამუშაო საათების რაოდენობის მიხედვით ( $210 \text{ დღე/წელ} \times 10 \text{ სთ} = 2100 \text{ სთ}$ ) მივიღებთ:

$$G_{\text{ტვრ}} = 142800 \times 0,009 \times 0,4 / 10^3 = 0,5141 \text{ ტ/წელ}$$

$$M_{\text{ტვრ}} = 0,5141 \times 10^6 / 2100 \times 3600 = 0,068 \text{ გ/წმ}$$

ვ) გაფრქვევის ანგარიში როტორული სამსხვრევიდან (გ-6 წყარო)

გაფრქვევის გაანგარიშება ხორციელდება იგივე ფორმულით და იგივე პარამეტრებით, რაც ყბებიანი სამსხვრეველას გაანგარიშების დროს, შესაბამისად:

$$G_{\text{მტვ}} = G_{\text{მას.}} \times x \times N \times t \times k / 10^3$$

მტვრის გამოყოფის ხვედრითი მაჩვენებელი 1ტ სველი მასალის როტორული მსხვრევისას ასევე შეადგენს 0,009კგ/ტ-ს.

შესაბამისად:

$$G_{\text{ტვრ}} = 142800 \times 0,009 \times 0,4 / 10^3 = 0,5141 \text{ ტ/წელ}$$

$$M_{\text{ტვრ}} = 0,5141 \times 10^6 / 2100 \times 3600 = 0,068 \text{ გ/წმ}$$

ზ) მტვრის გაფრქვევის ანგარიში ინერტული მასალის ლენტური ტრანსპორტიორით გადადგილებისას (გ-7 წყარო)

ინერტული მასალის ლენტური ტრანსპორტიორით გადადგილებისას მტვრის გაფრქვევა იანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{მტვ.}} = W \times K \times B \times L \times 10^3 \text{ გ/წმ}$$

სადაც,

W - ჰაერის შებერვით გამოწვეული მტვრის ხვედრითი გაფრქვევა და ტოლია  $3 \times 10^{-5}$  კგ/მ<sup>3</sup> წმ

K - ნედლეულის დაქუცმაცების კოეფიციენტი და ტოლია 0,1მ -ის

B - ლენტის სიგანეა და მოცემულ შემთხვევაში ტოლია 0,5 მ-ის

L - ლენტის ჯამური ისგრძე და მოცემულ შემთხვევაში ტოლია 20 მ

სათანადო მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ:

$$M_{\text{მტვ.}} = 3 \times 10^{-5} \times 0,1 \times 0,5 \times 20 \times 10^3 = 0,0300 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვ.}} = 0,0300 \times 2100 \times 3600 / 10^6 = 0,2268 \text{ ტ/წელ}$$

თ) გაფრქვევის ანგარიში მბრუნავი ვიბროცხავიდან (გ-8 წყარო )

გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{მტვრ.}} = k_1 \times k_2 \times k_3 \times k_4 \times k_5 \times k_7 \times k_9 \times G \times B \times 10^6 / 3600 \text{ გ/წმ}$$

სადაც, აღნიშნული კოეფიციენტებისა და სიდიდეების მნიშვნელობები საწარმოს კონკრეტული პირობებისათვის აიღება მეთოდურებში მოცემული დანართებიდან. საანგარიშო კოეფიციენტების მნიშვნელობები შემდეგია:

$$K_1 - 0,03; K_2 - 0,04; K_3 - 1,2; K_4 - 0,2; K_5 - 0,1; K_7 - 0,4; K_9 - 1; B - 0,4; G - 68$$

აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ:

$$M_{\text{მტვრ.}} = 0,03 \times 0,04 \times 1,2 \times 0,2 \times 0,1 \times 0,4 \times 1 \times 68 \times 10^6 \times 0,4 / 3600 = 0,0870 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვრ.}} = 0,0870 \times 2100 \times 3600 / 10^6 = 0,6577 \text{ ტ/წელ.}$$

ი) გაფრქვევა მიღებული პროდუქციის (ქვიშა და ღორღი) ღია საწყობებიდან (გ-9, გ-10, გ-11 წყარო ) მიღებული პროდუქციის საწყობებიდან (ქვიშა, ღორღი) გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{მტვრ.}} = k_3 \times k_5 \times k_6 \times k_7 \times q \times f \text{ გ/წმ}$$

სადაც,

ქვიშისთვის: (გ-9 წყარო)  $K_3 = 1,2$  - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი;

$K_5 = 0,1$  - მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი;

$K_6 = 1,4$  - დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის პროფილის მაჩვენებელი კოეფიციენტი და



მერყეობს 1,3-დან 1,6-მდე

$K_7=0,6$  გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტი;

$q=0,002$  - მტვრის წატაცების ინტენსივობაა 1კვ.მ ფაქტიური ზედაპირის ფართობიდან, გ/მ<sup>2</sup> წმ

$f=50$  მ<sup>2</sup> -ამტვერების ზედაპირის ფართობი ამ მონაცემების მიხედვით:

გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იქნება :

$$M_{\text{მტვრ}}=1,2 \times 0,1 \times 1,4 \times 0,4 \times 0,002 \times 50 \times 0,4 = 0,0027 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვრ}}=0,0027 \times 8760 \times 3600 / 10^6 = 0,0851 \text{ ტ/წელ}$$

ანალოგიური იქნება გ-10 და გ-11 წყაროსთვის ღორღისთვის: (გ-10 და გ-11 წყარო)  $K_3=1,2$  - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი;

$K_5=1,0$ -მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი;

$K_6=1,4$  - დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის პროფილის მაჩვენებელი კოეფიციენტი და მერყეობს 1,3-დან 1,5-მდე

$K_7=0,4$  გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტი;

$q=0,002$  - მტვრის წატაცების ინტენსივობაა 1კვ.მ ფაქტიური ზედაპირის ფართობიდან, გ/მ<sup>2</sup>

$f=60$  მ<sup>2</sup> -ამტვერების ზედაპირის ფართობი ამ მონაცემების მიხედვით: გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იქნება :

$$M_{\text{მტვრ}}=1,2 \times 1,0 \times 1,4 \times 0,4 \times 0,002 \times 60 \times 0,4 = 0,0322 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვრ}}=0,0322 \times 8760 \times 3600 / 10^6 = 1,0154 \text{ ტ/წელ}$$

### 10. ხმაურის გავრცელება და ზემოქმედება

საწარმოს მუშაობას თან სდევს ხმაურის წარმოქმნა და გავრცელება, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს გარემოზე და ადამიანებზე. საწარმოს ექსპლუატაციის პერიოდში ხმაურის გავრცელების ძირითად წყაროებს წარმოადგენს როტორული სამსხვრევი, ყბიანი სამსხვრევი, ვიბრაციული საცრები, აქედან ყველაზე მეტი ხმაურის გამომწვევი მოწყობილობაა ყბიანი სამსხვრევი. ლიტერატურული მონაცემებით მოცემულ შემთხვევაში ხმაურის დონე შეადგენს 95 დბ-ს. მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ საწარმო დაშორებულია დასახლებული პუნქტიდან დაახლოებით 390 მეტრის მანძილზე და საწარმოსა და დასახლებულ პუნქტს შორის ტერიტორიის 40-45% დაფარულია სხვადასხვა სახის კულტურული მცენარეებითა და მარადმწვანე ნარგავებით, რაც გარკვეული სახის წინაღობებს უქმნის საწარმოს მუშაობის დროს გამოწვეულ ხმაურს, მისი ზემოქმედება ახლომდებარე მოსახლეობისათვის უმნიშვნელო იქნება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საწარმოს ფუნციონირებისას წარმოქმნილი ხმაური უარყოფით გავლენას ვერ მოახდენს გარემოზე და ადამიანზე.

## 11. ნიადაგის, გრუნტის, მიწისქვეშა და ზედაპირული წყლების დაბინძურება

საქმიანობის განხორციელებისათვის შერჩეული ტერიტორია განთავსებულია მდინარე სუფსის მიმდებარედ. ტერიტორია წარმოადგენს ქვიშა-ხრემოვან მასას, რაც გამორიცხავს ნიადაგზე და გრუნტის ხარისხზე მოსალოდნელ ზემოქმედებას. მიწისქვეშა წყლების დაბინძურების რისკები საწარმოს ტერიტორიიდან არ არსებობს, რადგან საწარმოო პროცესის მიმდინარეობის დროს გამოიყენება მხოლოდ ისეთი ნედლეული და მასალები, რომელიც პრაქტიკულად გამორიცხავს მიწისქვეშა წყლების დაბინძურებას. ზედაპირულ წყლებზე პირდაპირი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. საპროექტო ტერიტორიის უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტია მდ. სუფსა. ობიექტის ფუნქციონირებისას წარმოიქმნება სასმელ-სამეურნეო და საწარმოო ჩამდინარე წყლები, რისთვისაც პროექტით გათვალისწინებულია კომპანიის საყოფაცხოვრებო-სამეურნეო ჩამდინარე წყლების შეკრება საასენიზაციო ორმოში და საწარმოო ჩამდინარე წყლებისთვის ორსაფეხურიანი გამწმენდი ნაგებობის მოწყობა. სალექარის საშუალებით მოხდება როგორც საწარმოო წყლის, ასევე ტერიტორიაზე მოგროვილი სანიაღვრე წყლების გაწმენდა და „ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლების ტექნიკური რეგლამენტის“ მოთხოვნების შესაბამისად შემდგომ მისი მდინარეში ჩაშვება. ზედაპირული წყლის დაბინძურება მოსალოდნელია საწარმოში საყოფაცხოვრებო ნარჩენების არასწორი მართვისა და ავტოტრანსპორტიდან ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვრის შემთხვევაში. კომპანიის მიერ უზრუნველყოფილი იქნება ტერიტორიის დაცვა დაბინძურებისაგან კანონმდებლობის შესაბამისად, რაც გამორიცხავს ზედაპირულ წყალზე უარყოფით ზემოქმედებას.

## 12. საშიში გეოლოგიური მოვლენების განვითარების რისკი

საწარმოს საპროექტო ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ რაიმე მნიშვნელოვანი სახის საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარების ნიშნები არ აღინიშნება. ტერიტორიაზე არ არის დაგეგმილი მიწის სამშენებლო სამუშაოების ჩატარება, კეთილმოწყობის სამუშაოების ჩატარება, რაც გამორიცხავს გეოლოგიური მოვლენების რისკს. გათვალისწინებული არ არის შენობის აშენება.

## 13. ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე

საწარმოს საპროექტო ტერიტორიის არეალში ვიზუალური შეფასებით ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების არსებობა არ დაფიქსირებულა. ასევე ტერიტორიის უშულო სიახლოვეს არ არის დაცული ტერიტორიები. საწარმოს მონტაჟი და შემდგომი ექსპლუატაცია გამოიწვევს ლანდშაფტის უმნიშვნელო ადგილობრივ, ლოკალურ ცვლილებას. საპროექტო ტერიტორიაზე არ არის აღრიცხული დაცული და ჭრაკრძალული სახეობები. ასევე ლანდშაფტის ღირებული ელემენტები. საწარმოს ირგვლივ არსებული მწვანე საფარი სამოვარი და სასოფლო სამეურნეო სავარგულები არ განიცდის ცვლილებასა და დეგრადაციას.



. საწარმოს მოწყობის შემდეგ ტექნოლოგიური პროცესები შემდგომში უნიშვლელ გავლენას იქონიებს საწარმოს მიმდებარედ მობინადრე მინდვრის მღწელებზე და ენტოფაუნაზე.

**14. ნარჩენების წარმოქმნის და მართვის შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედება, ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები.**

ტექნოლოგიური პროცესის დროს გამოყენებული ნედლეული მთლიანად უნარჩუნოდ გადადის პროდუქციაში. ბალასტის მსხვრევა და გაცრა ქვიშა-ხრემის გადამუშავების შედეგად ნარჩენი არ წარმოიქმნება, ყველა ფრაქცია წარმოადგენს პროდუქტს. სალექარში დაგროვებული ლექი წარმოადგენს პროდუქტს, რომელიც ასევე გაიყიდება (გამოიყენება სამშენებლო სამუშაოების და სოფლის მეურნეობისთვის) ამდენად, საწარმო ნარჩენების წარმოქმნას ადგილი არ ექნება. რაც შეეხება სახიფათო ნარჩენების წარმოქმნას, საწარმოს ტერიტორიაზე არ მოხდება ავტომობილების ზეთების გამოცვლა, საწარმოს საკუთრებაში არსებული ტექნიკის მიმდინარე რემონტი (მათ შორის გეგმიური ზეთის შეცვლა, საბურავის შეცვლა) განხორციელდება მომსახურების ცენტრებში. სამსხვრევ დანადგარებს გააჩნიათ ზეთის რეზერვუარები, რომლის ზეთის გამოცვლაც ხდება დაახლოებით წელიწადში ერთხელ (დამოკიდებულია წლის განმავლობაში ნამუშევარ საათებზე). ნამუშევარი ზეთების დროებით შესანახად მოეწყობა სახიფათო ნარჩენების საცავი. წელიწადში მოსალოდნელია 150-200 კგ ნარჩენი ზეთის წარმოქმნა. კომპანია შეიმუშავებს ნარჩენების მართვის გეგმას, რომელიც შეთანხმებული იქნება გარემოს დაცვის სამინისტროსთან. ნარჩენების მართვა მოხდება ნარჩენების მართვის გეგმის და საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად. საწარმოში წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების გატანისა და შემდგომი უტილიზაციისთვის გადაეცემა უფლებამოსილ კომპანიას შესაბამისი ხელშეკრულებით. მუშა-პერსონალის მიერ წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების სეპარირებული შეგროვების მიზნით დამონტაჟდება ნაგვის ურნები და ნაგვის ბუნკერი და გაფორმდება ხელშეკრულება მუნიციპალური ნარჩენების ნაგავსაყრელზე გასატანად. იმის გათვალისწინებით, რომ საწარმოში მომსახურე პერსონალი რაოდენობა იქნება 6 ადამიანი, წლის განმავლობაში მოსალოდნელი საყოფაცხოვრებო ნარჩენების რაოდენობა იქნება:

$$6 \times 0,7 = 4,2 \text{ მ3}$$

(0,7მ3 ერთ მომუშავე ადამიანზე წლის განმავლობაში წარმოქმნილი ნარჩენების საშუალო რაოდენობაა).

**15. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე.**

საწარმოს ფუნქციონირების პროცესში ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ზემოქმედების ძირითადი რეცეპტორებია: მომსახურე პერსონალი და ასევე მიმდებარე მაცხოვრებელი. მათ უსაფრთხოებაზე უარყოფითი ზემოქმედება პირდაპირი სახით მოსალოდნელი არ არის, რადგან საწარმოში არ არის გამოყენებული მაღალ ტემპერატურასა და წნევაზე მომუშავე დანადგარები, სახიფათო და ტოქსიკური ნივთიერებები. საწარმოში დაცული



იქნება შრომის უსაფრთხოების კანონმდებლობის პირობები: დასაქმებული პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით, ასევე უზრუნველყოფილი იქნება მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობა და გათვალისწინებული იქნება შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების ზედმიწევნით დაცვა. რაც საქმიანობის პროცესში მინიმუმამდე შეამცირებს უარყოფითი ზემოქმედების რისკებს.

#### **16. კუმულაციური ზემოქმედება.**

კუმულაციური ზემოქმედების შეფასების მთავარი მიზანია, საქმიანობის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების ისეთი სახეების იდენტიფიცირება, რომლებიც როგორც ცალკე აღებული, არ იქნება მასშტაბური ხასიათის, მაგრამ სხვა - არსებული, მიმდინარე საქმიანობების განხორციელებით მოსალოდნელი მსგავსი სახის ზემოქმედებასთან ერთად, გაცილებით მაღალი და საგულისხმო უარყოფითი ან დადებითი შედეგების მომტანია. საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში, საქმიანობის სპეციფიკიდან და განთავსების ადგილიდან გამომდინარე, კუმულაციური ზემოქმედების ერთადერთ საგულისხმო სახედ უნდა მივიჩნიოთ ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება და ხმაურის გავრცელება, კერძოდ, საწარმოს და მის მიმდებარედ არსებული საწარმოების ერთდროული ფუნქციონირების შედეგად გამოწვეული ხმაურის ჯამური ზეგავლენა გარემოს სხვადასხვა რეცეპტორებზე. თუ გავითვალისწინებთ, რომ საწარმოს გავლენის ზონაში (საწარმოს მომიჯნავედ და მიმდებარე არეალში ანალოგიური ტიპის საწარმო არ არსებობს) მსგავსი ობიექტი არ ფუნქციონირებს, ასევე საპროექტო ტერიტორია დასახლებული პუნქტიდან დაშორებულია 300-350 მეტრის მანძილზე და მესხვრევის პროცესი სველია (სამსხვრევი ხაზის ფუნქციონირებისას წარმოქმნილი მტერის რაოდენობა შეადგენს 0,3442 გ/წმ) კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. გამომდინარე აქედან, საწარმოს მიმდებარე ტერიტორიაზე კუმულაციური ზემოქმედების საფრთხეები არ არსებობს.

#### **17. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება.**


სოციალური და ეკონომიური თვალსაზრისით საწარმოს საქმიანობა შეიძლება შეფასდეს როგორც დადებითი. საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილობრივი მოსახლეობიდან 6 ადამიანი იქნება დასაქმებული. საწარმოს ფუნქციონირება ხელს შეუწყობს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტის შევსებას და მომუშავეთა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას. საწარმოში დასაქმებულთა რიცხვი დიდი არ არის (6 ადამიანი), მაგრამ წარმოების განვითარება შესაძლებლობას ქმნის მომავალში გაიზარდოს დასაქმებულთა რიცხვი. ასევე საწარმოში წარმოებული პროდუქციის შემდგომ გამოყენებაზე დასაქმდება ადამიანთა გარკვეული რაოდენობა. საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქცია ქვიშა და ღორღი ხელს შეუწყობს სამშენებლო სამუშაოების წარმოებას, ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას და ახალი წარმოებების ამოქმედებას.

## 18. დანართები:

- 18.1. დანართი სურ.1–ქვისსამტვრევი საწარმოს ძირითადი კვანძებისა და ცალკეული აგრეგატების დასახელება და განთავსების უბნები (კარტოგრაფიული);
- 18.2. დანართი სურ.2–მანძილი საწარმოსა და პირველ მოსახლეს შორის (კარტოგრაფიული);
- 18.3. დანართი სურ.3–მანძილი საწარმოსა და მდინარე სუფსას შორის (კარტოგრაფიული);
- 18.4. დანართი სურ.4–საპროექტო საწარმოს მიერ დაკავებული ტერიტორია (კარტოგრაფიული);
- 18.5. ნასყიდობის ხელშეკრულება შპს შპს „ედრი ჰოლდინგი“-სა და შპს „გოვა“-ს შორის;
- 18.6. ნასყიდობის ხელშეკრულება შპს შპს „გოვა“-ს და შპს „ბლექსი სტოუნი“-ს შორის;
- 18.7. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან;



სურ. 1 | საწარმოს ძირითადი კვანძებისა და აგრეგატების დასახელება და განთავსების უბნები,







Изображения © CNES / Airbus, Maxar Technologies, 2021, Картографические данные © , 2021 100 м

Измерить расстояние

Расстояние: 373,53 м (1 225,48 фут.)

სურ. 2

მანძილი საწარმოსა და პირველ მოსახლეს შორის



Google




Изображения © CNES / Airbus, Maxar Technologies, 2021, Картографические данные ©, 2021 100 м

Измерить расстояние  
 Расстояние: 58,29 м (191,24 фут.)

სურ. 3

მანძილი საწარმოთა და მდ. სუგსას შორის







ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

20 ივლისი 2019 წელი

ერთი მხრივ, შპს „ედი კოლდინგი“, საიდ. ნომერი: 405047113, წარმოდგენილი დირექტორის ჯამბულ ურიათყოფელი სახით შემდგომში წოდებული როგორც „გამყოფელი“ და მეორე მხრივ, შპს „გოვა“ (შემდგომში „მყოფელი“), საიდ. ნომერი: 448398957, წარმოდგენილი დირექტორის გოგიტა გურგენიძე სახით ვაჭარს წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე

მუხლი 1.

ხელშეკრულების საგანი

- 1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით „გამყოფელი“ ვაჭარს, ხელის „მყოფელი“ ვაჭარს 65846 კვტ.მ ინერტული მასალის (ქვიშა ხრეშის ნარევი).
- 1.2. ინერტული მასალის მიწოდების ადგილია: ქობულეთის მუნიციპალიტეტი, ხოვგორაბერეჯაულის (სახარგებლო წილისუქვლის მოთხოვნის დიკენსია №1004154, მდ. „ხუფის“ ქვიშა-ხრეშის გამოვლინება“).
- 1.3. მხარეთა შეთანხმებით „მყოფელი“ მიწოდების ადგილზე საკუთარი ტექნიკითა და აღჭურვილობა დანადგარებით უზრუნველყოფს ინერტული მასალის დატვირთვისა და მის ტრანსპორტირებას.

მუხლი 2.

ხელშეკრულების დირეზულება და ანგარიშწორება

- 2.1 მხარეთა შეთანხმებით 1 (ერთი) მ<sup>3</sup> ინერტული მასალის (ქვიშა ხრეშის ნარევის) დირეზულება შეადგენს 1 ლარს დღგ-სა და გადასახადების ჩათვლით.
- 2.2 ხაერთო დირეზულება შეადგენს 65846 (სამოცდახუთათასრვახორმოცდაცხსი) ლარს დღგ-სა და გადასახადების ჩათვლით.
- 2.2. „მყოფელი“ ვაჭარს ანგარიშწორება განხორციელდეს არაუგვიანეს „გამყოფელის“ მიერ შესაბამისი ანგარიშგაქვრის გამოქვრისა 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში;
- 2.3. ანგარიშწორება შეიძლება განხორციელდეს როგორც სადღი ისე უნაღდო ანგარიშწორების გზით.

მუხლი 3.

მხარეთა უფლებები და მოვალეობები

- 3.1. „გამყოფელი“ კისრულობს შემდეგ მოვალეობებს:
  - ა) უზრუნველყოს „მყოფელი“-ს შეუკერძოებელი დასვენება ინერტული მასალის მიწოდების ადგილზე ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
  - ბ) წესრიგში იქონიოს ყველა შესაბამისი დოკუმენტაცია, რაც დაკავშირებული იქნება შემთავლინებული ინერტული მასალის მოთხოვნასა და მიწოდებასთან;
- 3.2. „მყოფელი“ კისრულობს მოვალეობებს:
  - ა) გადაუხადოს გამყოფელს წინამდებარე ხელშეკრულებით შეთანხმებული სახაჯარი;
  - ბ) საკუთარი ტექნიკითა და დანადგარ-მოწყობილობებით მოახდინოს შეძენილი ინერტული მასალის დატვირთვა და ტრანსპორტირება მიწოდების ადგილიდან;
- 3.3. „გამყოფელს“ უფლება აქვს:
  - ა) მითხოვოს შესაბამისი ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- 3.4. „მყოფელს“ უფლება აქვს:



ა) მისთვის სასურველ დროს მითითების ინტერვალში მასალების მიწოდების ადგილზე მისი დაშვება მასალების დატვირთვისა და ტრანსპორტირების მიზნით.

#### მუხლი 4.

##### ხელშეკრულების მოშლა

4.1. ხელშეკრულების მოშლა დასაშვებია:

ა) მხარეთა შეთანხმებით;

ბ) თუ რომელიმე მხარე სისტემურიად არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, დახარალებული მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება და მითითების მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

4.2. თუ წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადაში რომელიმე მხარე დატოვება განდგება არაკანონიერი, კაბათილებული ან შეუსრულებელი საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, ეს არ იმოქმედებს წინამდებარე ხელშეკრულების სხვა დებულებების ჩამოცილებისა და შესრულებაზე.

4.3. ხელშეკრულების მოშლისას მხარეები ერთი თვის ვადაში აწარმოებენ შესაბამის მოლაპარაკებებს და ადგენენ დავალიანების თეხიბას წინამდებარე ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით. ხელშეკრულება მოშლიდა ითვლება საბოლოო ანგარიშვარების დამთავრებისთანავე, რაზედაც შედგება შესაბამისი ოქმი (აქტი), რომელსაც ხელს აწერენ მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები.

#### მუხლი 5.

##### მხარეთა განცხადებები

5.1. მხარეები აცხადებენ შემდეგს:

ა) მათ აქვთ უფლება დადონ წინამდებარე ხელშეკრულება და შეასრულონ ყველა თავისი ვალდებულება და განახორციელონ თავისი უფლებები წინამდებარე ხელშეკრულებებით;

ბ) წინამდებარე ხელშეკრულების ხელის მოწერისას, სათანადოდ უფლებამოსილი არიან ამასზე;

გ) წინამდებარე ხელშეკრულების არც გაყვანებით და არც შესრულებით მხარეები არ არღვევენ თავისი სადამფუძნებლო დოკუმენტების რაიმე პირობას, საქართველოს კანონმდებლობის რაიმე დებულებას ან რაიმე შეთანხმებას, რომლის მხარეც არის შესაბამისი მხარე;

დ) მხარეები არ არღვევენ არც ერთ ხელშეკრულებას, რომელშიც მათი მხარეც წარმომადგენენ ან რომელსაც მათ მიმართ უახსნა იძულებითი ძალა, ისეთი სახისაა, რომ ამას შეეძლოს მნიშვნელოვნად უარყოფითად იმოქმედოს მხარის სასურველ საქმიანობაზე და ფინანსურ მდგომარეობაზე.

#### მუხლი 6

##### ფორს-მაჟორი

6.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, თუ კი ეს გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალის გარემოებათა გამო.

6.2. დაუძლეველი ძალა ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომლებიც არ არსებობდნენ ხელშეკრულების დადების მომენტიდან, წარმოიშვნენ მხარეთა ნების გარეშე და რომელთა დადგომის და მოქმედების კონტროლი აღემატება მხარეთა შესაძლებლობებს.

6.3. მხარე, რომელიც ვერ ასრულებს ვალდებულებებს დაუძლეველი ძალის გარემოებათა გამო, ვალდებულია დაუცხადოს აცხადოს ამის შესახებ მეორე მხარეს, თუ ასეთი შეუძლებლობა გაკეთებული არ იქნება სამი დღის ვადაში, დამტკიცებ მხარეს უფლება არა აქვს პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების მიზნით მითითების ანუ გარემოებაზე, თუკი შეტყობინების გაუგზავნელობაც არ იყო გამოწვეული ამ გარემოებით.

6.4. დაუძლეველი ძალის გარემოებათა სამ. თვეზე მეტი ხნით არსებობისას მხარეებს, რომელიც ასეთ გარემოებათა მოქმედების ქვეშ არ იმყოფება, უფლება აქვს ერთობიროვნულად მომსდოს ხელშეკრულება და ამის შესახებ აცხადოს მეორეს მხარეს.

**მუხლი 7  
დავები**



7.1. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეთა შორის წარმოადგენს დავები წყდება მოლაპარაკებების გზით. თუ მხარეები ვერ მოადკვეთნ შეთანხმებას მოლაპარაკებების გზით, მაშინ დავის გადასაწყვეტად მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობის შესაბამისად

**მუხლი 8**

**დასკვნითი დებულებები**

- 8.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.
- 8.2. წინამდებარე ხელშეკრულების ყოველი დახართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
- 8.3. წინამდებარე ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებები და დამატებები ფორმდება წერილობითი ფორმით, რომელიც ხელმოწერილ უნდა იქნეს ორივე მხარის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ.
- 8.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომლის თითო ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს. ორივე ეგზემპლარს ექვსნა თანაბარი ძურდიული ძალა.

**მხარეთა რეკვიზიტები**

<p><b>“მეიდველი”</b> <b>შპს „გოვა“</b></p> <p>ს/კ 245626871 მის: ხელვაჩაური სს „სამართმელის ბანკი“ GE31BG000000611777700 ბანკის კოდი: BAGAGE22 დირექტორი გოგიტა გურგენიძე</p> 	<p><b>“გამეიდველი”</b> <b>შ.პ.ს “ედრი ჰოლდინგი”</b></p> <p>ს.კ. 405047113 მის: ქ. თბილისი საბურთალოს რაიონი ხელხან ცინცაძის ქ. #54 ბინა #1 დირექტორი ჯამბულ ურიათყე</p> 
---	--



## ნასყიდობის ხელშეკრულება

ქ. ბათუმი

03.07.2021წ.

### 1. ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ, შპს „გოვა“ (ს/№448398957) წარმოდგენილი დირექტორის გოგიტა გურგენიძის სახით (შემდგომში - „გამყიდველი“) და მეორეს მხრივ, შპს „ბლექსი სტოუნ“ (ს/ნ: 445592724), წარმოდგენილი დირექტორის რომან ვარშალომიძე (შემდგომში - „მყიდველი“) შეთანხმდით შემდეგზე:

### 2. ნასყიდობის საგანი, მიწოდების ადგილი და ვადა

2.1. ხელშეკრულების საგანია ინერტული მასალის (სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია #1004154 მდ.სუფსა ქვიშა-ხრეშის გამოვლინება) „შემდგომში“ - ნასყიდობის საგანი.

2.2. ნასყიდობის საგნის მონაცემებია: ინერტული მასალის (ქვიშა-ხრეშის ნარევი)

2.3. „მყიდველზე“ ნასყიდობის საგანის მიწოდება მოხდება 2022წლის 31 დეკემბრამდე.

2.4. მიწოდების ადგილია: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი სოფ. გორაბერეჟოული (სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია #1004154 მდ.სუფსა ქვიშა-ხრეშის გამოვლინება)

2.5 მხარეთა შეთანხმებით „მყიდველი“ მიწოდების ადგილზე საკუთარი ტექნიკითა და აღჭურვილობა დანადგარებით უზრუნველყოფს ინერტული მასალების დატვირთვას და მის ტრანსპორტირებას.

### 3. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

3.1. გამყიდველი ვალდებულია:

3.1.1. გადასცეს მყიდველს ნასყიდობის საგანი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია #1004154 მდ.სუფსა ქვიშა-ხრეშის გამოვლინება;

3.2.2. მიიღოს ნასყიდობის ფასი;

3.2.3. მიაწოდოს მყიდველს ნასყიდობის საგანთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაცია არსებული მდგომარეობა, ტექნიკური პირობები და ა.შ.;

3.2.4. გადასცეს მყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთი.

3.2. მყიდველი ვალდებულია:

3.2.1. გადაუხადოს გამყიდველს ნასყიდობის ფასი შეთანხმებულ ვადაში;

3.2.2. შეამოწმოს ხარისხი;

3.2.3. მიიღოს შეძენილი ნივთი.

3.3. გამყიდველი იღებს ვალდებულებას არ დადოს სხვა პირებთან ისეთი გარიგება, რომელიც უკავშირდება ნასყიდობის საგანის განკარგვას ან სარგებლობის უფლებით თუ მფლობელობაში გაცემას ან/და ვალდებულებით დატვირთვას თუ რაიმე მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გამოყენებას.

#### 4. პასუხისმგებლობა ნივთობრივ ნაკლზე

4.1. „გამყიდველის“ მიერ მოწოდებული საქონლის ხარისხობრივი და ყველა სხვა მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს ამ საქონლისადმი წაყენებულ სტანდარტებსა და მყიდველის მოთხოვნებს. გამყიდველი პასუხისმგებელია ნასყიდობის საგნის ხარისხსა თუ სხვა ნივთობრივ ნაკლზე, რომელიც აღმოაჩნდება მას.

4.2. გამყიდველი იძლევა გარანტიას, რომ ნასყიდობის საგანს არ გააჩნია რაიმე წუნდება და იღებს პასუხისმგებლობას რომ შეთანხმების (მიწოდების) პირობებში არ გამოავლენს რაიმე სახის ნაკლს (წუნს). იმ შემთხვევაში თუ სახელშეკრულებო პერიოდში გამოვლენილი იქნება რაიმე სახის ნაკლი, „გამყიდველი“ ვალდებულია საკუთარი ძალებით და ხარჯებით მოახდინოს მისი აღმოფხვრა.

4.3. „მყიდველის“ მიერ შემოწმებულია და მოწონებულია ნასყიდობის საგნის ნივთობრივი/ხარისხობრივი მდგომარეობა.

#### 5. პასუხისმგებლობა უფლებრივ ნაკლზე

5.1. „გამყიდველი“ პასუხისმგებელია ნასყიდობის საგნის უფლებრივ ნაკლზე, რომელიც წარმოშობილია მისი „მყიდველის“ საკუთრებაში გადაცემამდე.

5.2. თუ ამ ხელშეკრულების პერიოდში გამყიდველის მესამე პირების წინაშე ვალდებულების არსებობის გამო ნივთს დაედება ყადაღა ან უზრუნველყოფის სხვა ღონისძიება, მაშინ გამყიდველი ვალდებული იქნება გაათავისუფლოს ნივთ უზრუნველყოფის ღონისძიებისაგან ან/და მყიდველს დაუბრუნოს მის მიერ გადახდილი ნასყიდობის ფასი.

#### 6. ნასყიდობის საგნის ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

6.1. ნასყიდობის საგნის 1.00 მ<sup>3</sup> -ის ფასი შეადგენს 3.00 ₾ (სამი) ლარს დღგ ჩათვლით.

6.2. „მყიდველი“ „გამყიდველს“ მიწოდებული საქონლის ფასს გადაუხდის ეტაპობრივად მიწოდებიდან.

6.3. ნასყიდობის ფასის გადახდა ხდება „გამყიდველის“ საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში - ლარი ან ნაღდი ანგარიშსწორებით.

6.4. ნასყიდობის ფასის გადახდა უნდა დასტურდებოდეს დოკუმენტურად (მიღება-ჩაბარების აქტით, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით და სხვა ოფიციალური დამადასტურებელი დოკუმენტით).

#### 7. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტა

7.1. თითოეული მხარე პასუხს აგებს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის:

ა) „გამყიდველის“ მიერ ნასყიდობის საგნის „მყიდველისათვის“ გადაცემის ვადის გადაცილების შემთხვევაში „გამყიდველს“ დაეკისრება პირგასამტეხლო ნასყიდობის თანხის 0.0001%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. იმ შემთხვევაში თუკი მსგავსი ვადაგადაცილება გაგრძელდება 20დღეზე მეტი ვადით,



„მყიდველი“ უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, აღნიშნული ხელშეკრულების 7.1. მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად.

ბ) „მყიდველი“ უფლებამოსილია ცალმხრივად გავიდეს ხელშეკრულებიდან, თუ „გამყიდველი“ ამ ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში ვერ უზრუნველყოფს ნასყიდვის საგნის „მყიდველისათვის“ გადაცემას. ასეთ შემთხვევაში „მყიდველს“ გონივრულ ვადაში უკან უბრუნდება მის მიერ „გამყიდველისათვის“ გადახდილი თანხა.

გ) ხელშეკრულების შეწყვეტა არ აუქმებს პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებას.

7.2. მხარე ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის გამო პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორული გარემოებები) ან მეორე მხარის ბრალის შედეგად.

7.3. დაუძლეველი ძალად მიიჩნევა ისეთი ფაქტის ან გარემოების არსებობა, რის გამოც ხელშეკრულების მხარე ვერ ასრულებს ვალდებულებას, კერძოდ:

- ა) ხანძარი და აფეთქება, წყალდიდობა, სტიქიური უბედურება;
- ბ) სამხედრო მოქმედება, აჯანყება, სამოქალაქო ომი.

7.4. თითოეული მხარე ვალდებულია მეორე მხარეს შეატყობინოს დაუძლეველი ძალის არსებობის შესახებ, რის გამოც იგი ვერ ახერხებს ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.

- 7.5. ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავა მხარეებს შორის წყდება შეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში კი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლოს მიერ.

## **8. ხელშეკრულების შეწყვეტა**

8.1. ხელშეკრულება მხარეთა შეთანხმებით შეიძლება ნებისმიერ დროს შეწყდეს.

8.2. ხელშეკრულება წყდება ნასყიდობის ფასის ვადაზე ადრე სრულად გადახდით, რა დროსაც გამყიდველი ვალდებულია მოახდინოს ნივთის საკუთრებაში გადაცემა და მყიდველის სახელზე რეგისტრაცია.

8.3. „მყიდველს“ შეუძლია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ „გამყიდველი“ მას არ გადასცემს შეძენილ ნივთს.

8.4. ხელშეკრულება შეწყდება ხელშეკრულების ცალმხრივი შეწყვეტის შესახებ წერილობითი შეტყობინებით.

8.5. გადახდის გადაცილებისას გამყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება მყიდველისათვის წერილობითი შეტყობინებით და მოითხოვოს ნივთის დაბრუნება. დაბრუნების შემთხვევაში ნივთს არ უნდა გააჩნდეს დაზიანება.

## **9. დამატებითი პირობები**

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის მომენტიდან.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად, რომელთაც აქვთ თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.

9.3. ამ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შეუძლიათ მხარეებს შეთანხმებით, წერილობითი ფორმით ან/და ახალი გარიგების დადებით.

9.4. ყოველი ცვლილება და დამატება წინამდებარე ხელშეკრულებაში ნამდვილია მისი წერილობითი გაფორმებისა და მხარეთა ხელმოწერის შემთხვევაში.

9.5. ყველა შეტყობინება ამ ხელშეკრულებით ითვლება გაგზავნილად, თუ ის გადაიგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ მხარის მისამართზე, ან ჩაბარდა მხარეს ხელზე.

9.6. წინამდებარე ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული მხარეთა ურთიერთობა რეგულირდება მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულებით და ყველა სახის ზეპირი მოლაპარაკება ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით იურიდიული ძალის არმქონეა.

#### 10. მხარეთა ხელმოწერა და რეკვიზიტები:

##### „გამყიდველი“


შპს „გოვა“, ს/№448398957  
მის: ხელვაჩაური, ს. ზანაქიძეები  
ს.ს. „საქართველოს ბანკი“,  
ბ/კ: BAGAGE22  
ანგ. №GE31BG000000611777700  
E-mail:  
☎ +995 593 38 28 80  
დირექტორი: გოგი გურგენიძე



(ხელმოწერა)

##### „მყიდველი“

შპს „ბლესი სტოუნ“ ს/ნ: 445592724  
მის.: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. #105  
ს.ს. „თიბისი ბანკი“,  
ბ/კ: TBCBGE22  
ანგ. # GE68TB7808836060100001  
✉ E-mail: blackseastone2021@gmail.com  
☎ +995 597 71 79 79  
დირექტორი: რომან ვარშალომიძე



(ხელმოწერა)





**ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეთ  
(არაკომერციული) იურიდიული პირების  
რეესტრიდან**

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B21074843, 26/07/2021 12:30:35

**სუბიექტი**

**საფირმო სახელწოდება:** შპს ბლესი სტონ  
**სამართლებრივი ფორმა:** შებლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
**საიდენტიფიკაციო ნომერი:** 445592724  
**რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:** 09/02/2021  
**მარეგისტრირებელი ორგანო:** სსიპ საქარო რეესტრის ეროვნული სააგენტო  
**იურიდიული მისამართი:** საქართველო, ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქუჩა, N105, ბინა N23

**დამატებითი ინფორმაცია:**

ელ. ფოსტა: blackseastone2021@gmail.com

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

**ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუნარიობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ**

რეგისტრირებული არ არის

**მმართველობის ორგანო**

- პარტნიორთა კრება

**ხელმძღვანელობა/ნარმომადგენლობა**

- დირექტორი - რომან ვარშალომიძე, 61006008183

**პარტნიორები**

**მესაკუთრე**

რომან ვარშალომიძე,  
61006008183

წილი

წილის მმართველი

100%

**ვალდებულება**

რეგისტრირებული არ არის

**ყადალა/აკრძალვა**

რეგისტრირებული არ არის

**საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება**

რეგისტრირებული არ არის

**მოდრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება**

რეგისტრირებული არ არის

**მოვალეთა რეესტრი**

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge);
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge) , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: [info@napr.gov.ge](mailto:info@napr.gov.ge)